პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ყოველდღიური მეთოთხმეტე

კომუნისტი

სსრკ. კ. პ. (ბ) სენტ. და ტფ. კომიტეტების და სსრკ. საკის ორგანო

ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—31.

შაბათი 10 კაპ.

ორშაბათი
18
ივნისი
1934 წ.
№ 140 (3996)

დღეს ნომერში

— საქართველოში 15 ივნისისათვის თავთავიანი კულტურების მოსავალი აღებული იქო 1.811 ჰექტარზე.

— გათომში გაიხსნა **კომკავშირელთა კონფერენცია ციტრუსების შესახებ.**

— იაპონიის „დაკარგული“ ვიცა - კონსული კურამოტო მიიქვანეს შანხაიში.

— ბრძოლა **ამხ. ტელმანის** განთავისუფლებისათვის.

— **გ. გიორგობიანი:** კომკავშირის ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნის ძირითადი საკითხები.

— მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის გამოშუშავების გეგმა 15 ივნისს შესრულეს 84 პროცენტით.

ერროვნული ბიბლიოთეკა

თანამგრძნობათა ჯგუფების მოწყობას პარტორგანიზაციების სერიოზული ყურადღება

პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან თანამგრძნობათა ჯგუფების ჩამოყალიბება დაიწყო საქართველოს მთელ რიგ რაიონში, ტარდება ლია პარტიული კრებები, სადაც მუშავდება მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილება თანამგრძნობათა ჯგუფების შექმნის შესახებ. იქ სადაც ჩატარებულია სათანადო ახსნაგანმარტებითი მუშაობა და პარტორგანიზაციები ყურადღებას აქცევენ უპარტიო აქტივთან მუშაობის საკითხს, მრავალად შემოდის განცხადებები თანამგრძნობათა ჯგუფებში მიღების შესახებ.

თანამგრძნობათა ჯგუფების მოწყობის და მათთან მუშაობის საქმეში დადებითი გამოცდილებას იძლევა ტფილისის მთელ რიგ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები. მათ შორის ყურადღების ღირსია ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის პარტორგანიზაციის პირველი გამოცდილება ამ მხრივ.

პირველ ჯგუფში, რომელიც ჩამოყალიბდა აქ. სახარატო საამქროში, მიღებულ იქნა საუკეთესო აქტივისტები, მოწინავე დამკვრელები. თანამგრძნობათა ჯგუფის ყველა წევრი ჩაბმულია პოლიტსწავლებაში და თვითეულს აქვს კონკრეტული ერთდროული პარტიული დავალება, რომლის შესრულებას ჯგუფორგანიზატორი სისტემატიურად ამოწმებს.

სკ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილების თანახმად 4—5 ივნისს სპეციალური პარტდღეები იქნა ჩატარებული ტფილისის საწარმოებში თანამგრძნობათა ჯგუფების მუშაობის საკითხზე. ამან უსათუოდ დადებითი შედეგი გამოიღო. ახლა ტფილისის თითქმის ყველა საწარმოში შექმნილია თანამგრძნობათა ჯგუფები, რომელთა შორის მიმდინარეობს მუშაობა.

მაგრამ ბევრგან სოფლის რაიონებში ჯერ თითქმის არავითარი მუშაობა არ წარმოებს ასეთი ჯგუფების შექმნისათვის, ზოგან ეს მუშაობა კამპანიურობის ხასიათს ატარებს. მაგ. ბაღდათის რაიონში 5 დღის განმავლობაში 15 ჯგუფი ჩამოაყალიბეს საჭირო წინასწარი მუშაობის ჩატარების გარეშე.

როგორც პარტმუშაობის გარდაქმნის საკითხებზე მოწვეულ რესპუბლიკანურ თათბირზე გამოირკვა ზოგიერთ რაიკომის მუშაკებს ჯერ კიდევ სათანადოთ არ შეუგნიათ თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნის მნიშვნელობა ან კამათობენ იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყოს მიღებული თანამგრძნობთა ჯგუფებში, მაშინ როდესაც ამის შესახებ გარკვეული ლაპარაკობს მე-17 პარტყრილობის შიერ მიღებული პარტიის წესდება.

თანამგრძნობთა ჯგუფებში შიღებული უნდა იქნეს პარტიასთან უფრო დაახლოებული უპარტიო აქტივისტები, რომელთაც საქმით დამკვრელური მუშაობით დაამტკიცეს ერთგულება პარტიისადმი, მაგრამ რომელნიც ჯერ მოწმდებული არ არიან პარტიაში შესასვლელად. თანამგრძნობთა ჯგუფები არაა პარტიული ორგანიზაციები, მაგრამ ისინი ძალიან ახლოს სდგანან პარტიასთან და არიან ფართო მასებთან პარტიის „ახალი დამაკავშირებელი რგოლები“.

თანამგრძნობთა ჯგუფებში შესვლა ნიშნავს კიდევ ერთი საფეხურით დაახლოებას პარტიასთან.

თანამგრძნობთა ჯგუფის წევრს პარტიის წესდება აკისრებს განსაზღვრულ მოვალეობას: იგი ვალდებულია დაესწროს ყველა პარტიულ ღია კრებას სადაც ის საკუთარ სათათბირო ხმის უფლებით, უყოყმანოთ ემორჩილება პარტიის ყველა გადაწყვეტილებას, აქტიურად იბრძვის მათი გატარებისათვის ცხოვრებაში და სისტემატიურად მუშაობს თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

სკ. კ. პ. (ბ) ცენტრალრმა კომიტეტმა დადგენილებაში პირველად პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნის მსვლელობის შესახებ წინადადება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნის დროს საქმე არ ამოიწურონ ფორმალური მომენტებით (ანკეტების შევსება, მოწმობების გაცემა, და სხვა), არამედ არსებითად გაიშალოს მუშაობა. პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად უნდა დაესმაროს თანამგრძნობთ, ჩაებას ისინი პარტიული ჯგუფის ყოველდღიურ მუშაობაში, რათა აქტიურად იბრძოლონ პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, საჭიროა აღვზარდოთ თვითეული თანამგრძნობი პოლიტიკურად, შევაჩვიოთ ის რკინისებური დისციპლინას და ბოლშევიკურ შეუპოვრობას.

რასაკვირველია, პირველხარისხოვანი ამოცანაა—თანამგრძნობებისათვის დახმარების და ხელმძღვანელობის გაწევა, მაგრამ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს თითონ თანამგრძნობთ არ ეკისრებოდეს მოვალეობა მათი იდეური-პოლიტიკური განვითარებისათვის.

საჭიროა შევაგნებინოთ თვითეულ თანამგრძნობს, რომ ისინი ვალდებული არიან დაამტკიცონ თავისი იდეური თანაგრძნობა პარტიისადმი განსაზღვრულ ვალდებულების, პარტიის დადგენილებების შესრულებით და პარტიის დისციპლინის დაცვით ისე, როგორც ამას მოითხოვს წესდება.

რაიკომის ინსტრუქტორებმა განსაკუთრებული დახმარება უნდა აღმოუჩინონ პირველადი ორგანიზაციებს თანამგრძნობათა ჯგუფების მოწყობის საქმეში; თვითეული პირველადი პარტორგანიზაციების ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ მიმართულებით, რომ სერიოზულად და მოფიქრებულად მოკიდონ ხელი თანამგრძნობთა ჯგუფების მოწყობას და თვითეული თანამგრძნობის შესწავლას; წინასწარ დაამუშაონ პარტორგანიზაციების ღია კრებებზე პარტიის წესდების და ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც ეხება თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნის საკითხს.

ჯგუფების მოწყობასთან ერთად ყოველივის უნდა გვახსოვდეს, რომ თანამგრძნობთა ჯგუფების სწორი ორგანიზაციის პირობებშიც კი მათთან შემდგომ სუსტ მუშაობას შეუძლია არარად აქციოს ამ საქმის პოლიტიკური მნიშვნელობა. ისე უნდა მოვაწყოთ თანამგრძნობთა მუშაობა, რომ არც ერთი თანამგრძნობი არ უნდა იყოს პოლიტწრეების და გარკვეული პარტიული დავალებების გარეშე. საჭიროა აგრეთვე სისტემატიური თათბირების ჩატარება თანამგრძნობთა ჯგუფების მუშაობის შესახებ.

ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც დღემდი არ შედგომიან თანამგრძნობთა ჯგუფების მოწყობას, დაუყონებლივ უნდა შეიარაღონ ფართო მასობრივი პოლიტიკური მუშაობის გაშლას კოლმეურნეობის აქტივს შორის აქტივისტების პირად შესწავლას და მთავან საუკეთესოების ჩაბმას ჯგუფებში.

ბრძოლა ამხ. ტელმანის განთავისუფლებისათვის

ლონდონი, 16 ივნისი. ბრისტოლის პროფსაბჭომ (ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდი პროფსაბჭო ინგლისში) არჩია დელეგაცია, რომელიც მოვა გერმანიის კონსულთან, მოითხოვს ტელმანის საჯაროდ გასამართლებას და მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. პროფსაბჭომ ასეთივე მოთხოვნა გაუგზავნა გერმანიის საელჩოს და შეიტანა ფული „დიმიტროვის სახელობის ფონდში“. ივნისის დამლევს გერმანიაში გაემგზავრება ახალგაზრდათა დელეგაცია, რომელიც შეეცდება მიაღწიოს ტელმანის ნახვას და გამოიკვლიოს საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულ პატიმართა მდგომარეობა (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხი

პარიზი, 15 ივნისი. „ლუმანიტე“ ბეჭდავს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხს სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის წერილზე ტელმანის დასაცავად საერთო ბრძოლის შესახებ. პასუხში ნათქვამია: „ცენტრალურ კომიტეტს აოცებს თქვენი წერილის შინაარსი, საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოს კამპანია ტელმანის გადასარჩენად. ჩვენ ვადასტურებთ სურვილს გავეჩალოთ თქვენთან ერთად საერთო კამპანია ყოველგვარი პირობის გარეშე. თქვენი წინადადება ამ კამპანიის აგებიანებს ახალი მოთხოვნების წამოყენებით. როგორც იცით, ჩვენ განზრახული გვაქვს დავიტოვოთ ფაქტების კრიტიკის და შეფასების, აგრეთვე მთავან შესაფერი ტაქტიკური დასკვნების გაკეთების სრული უფლება. შეურაცყოფა და დიფამაცია უცხოა ჩვენი პარტიის მუშაობის მეთოდებისათვის. კიდევ მეტი, როცა ჩვენ შეურაცყოფას გვაყენებენ და ავიცელებენ ჩვენი პარტიისათვის ჩარქის მომცხეს ხმებს, ჩვენ პასუხის გაცემაზედაც კი ვარ ეამბობთ. ისე, როგორც წასრულში, მომავალ შიაც ჩვენ არ გვინდა მივმართოთ შეურაცყოფას და დიფამაციებს. კომუნისტი, სოციალისტი და ჟურნალისტი მუშების საერთო გამოსვლები ძლიერდება. ჩვენ ყოველმხრივ ვღებულობთ წერილებს, რომელიც მოითხოვენ განეიარაღოთ ბრძოლა ერთიანი ფრონტით ფაშიზმის წინააღმდეგ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ 48 საათის განმავლობაში მივიღებთ თქვენგან ნათელ პასუხს ჩვენს წინადადებაზე საერთო კამპანიის შესახებ“ (ადს).

კურამოტო მიიყვანეს შანხაიში

შანხაი, 16 ივნისი. „შეზო-უკვლოდ დაკარგული“ შეუპყრა ნაოცი იაპონიის ვიცე-კონსული ნანკინში კურამოტო იაპონიის საკონსულოს პოლიციელთა თანხლებით ჩამოვიდა შანხაიში და დაუყოვნებლივ გაგზავნა ჰოსპიტალში (ადს).

კომკავშირელთა კონფერენცია სუბტროპიკების შესახებ

ბათომი, 17 ივნისი. ბათომში გაიხსნა კომკავშირელთა საოლქო კონფერენცია სუბტროპიკების შესახებ.

კონფერენციის მუშაობა დაიწყო აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. მეგრელიძის მოხსენებით, რომელიც შეეხებოდა ს. ს. რ. კ.ის მიწსახკომის სუბტროპიკების კომიტეტის მიერ კომკავშირული ანგარიშის განხორციელების ღონისძიებებზე გამოტანილი გადაწყვეტილების რეალიზაციას.

კონფერენციას ესწრება 125 დელეგატი და 25 მეცნიერი მუშაკი აკადემიკოს კელერის და აჭარისტანის სუბტროპიკების ცნობილი სპეციალისტების მეთაურობით.

მეცნიერ-მუშაკთა სახელით კონფერენციას მიესალმა აკადემიკოსი კელერი. (ადს).

გასწორება

საქართველოს სახკომსაბჭოს 1934 წ. 16 ივნისის დადგენილებაში საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე პურით გაჭრობის დროებით შეწყვეტის შესახებ, (იხ. „კომუნისტი“. № 139. 17 ივნისი) პირველ რუნქტში გამოტოვებულია სიტყვა „სადაც“. გასწორების შემდეგ მთელი პუნქტი ასე უნდა იკითხებოდეს:

1. აეკრძალოთ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს პურით (ადგილზედთ) ვაჭრობა მანამ, სანამ არ იქნება შესრულებული რესპუბლიკაში საზელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა და მთლიანად არ იქნება გამოყოფილი, პურის ჩაბარების გეგმის შესრულების შემდეგ, სათესლე და სადაზღვეო ფონდები“.

დეცენტრალიზებულ დამზადებათა მსვლელობის შესახებ

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1934 წლის 17 ივნისის დადგენილება.

მოისმინა რა პარტიულ - საბჭოთა კონტროლის ჯგუფის ინფორმაცია რაიონებში დეცენტრალიზებულ დამზადებათა მსვლელობის შემოწმების შედეგების შესახებ, საქართველოს კ. პ. (ბ) კ-ი აღნიშნავს

პირველ კვარტალში დამზადებათა ჩატარების ფრიად არადამაკმაყოფილებელ შედეგებს (გეგმა შესრულებულია 58,6 პროც.) და დამზადებათა კიდევ უფრო სუსტ გაშლას მეორე კვარტალში, რაც ძირითადად წარმოადგენს რესპუბლიკის რაიონების უმეტესობის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ დეცენტრალიზებულ დამზადებათა უდიდესი სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობის შეუფასებლობის შედეგს.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი აღნიშნავს, რომ თითქმის ყველგან დარღვეულია საკონვენციო ვასები, ადგილი აქვს დამზადების ბაზარზე უპასუხისმგებლო გამოსვლას ორგანიზაციების მხრივ, რომლებსაც სრულიად არა აქვთ ნება აწარმოონ დამზადება (წითელი ჯვარი, ინვალიდთა კოოპერაციის სისტემა, გლეხის სახლი, „სოციკულტურა“, ყურადღებით საზოგადოება და სხვა), ან რომელთაც ნება აქვთ დართული, მაგრამ არა იმ რაიონში, სადაც ისინი ფაქტიურად ეწევიან დეცენტრალიზებულ დამზადებას (კურორტებისა, კავშირებისა, სამხრეთის სახვაშრობა, წუალტეხმინი, საწყობების ტრესტი და სხვა), დამპირდებულია დამზადების მეთოდები (საქონელცვლა, დასაქონლიანება, შესყიდვა ცენტრალური და რაიონულ ბაზრებზე და ამავე დროს შორეული ადგილების უგულებელყოფა); არ წარმოებს ბრძოლა გადამტყვეველებთან და სპეკულანტებთან, დარღვეულია საკოოპერაციო ვაჭრობის პრინციპები და სხვ.

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ი არადამაკმაყოფილებლად სთვლის რესპუბლიკური საკონვენციო ბიუროს მუშაობას (სუსტი და გაუპიროვნული ხელმძღვანელობა რაიონულ საკონვენციო ბიუროების და დამზადებლების მომართ, დეცენტრალიზებულ დამზადებათა რეალური გეგმების უქონლობა და მათი დიდი დაგვიანებით მიწოდება ადგილებისათვის, დამზადებელთა ხშირი გადაყვანა ერთი რაიონიდან მეორეში, მათი ერთდროშავე რაიონებზე ხანგრძლივი პერიოდით მიმაგრების მაგივრად).

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი ადგენს:

1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ პარტიულ - საბჭოთა კონტროლის ჯგუფის წინადადებით, სათანადო სახჯელი დაედო იმ ორგანიზაციებს და პირებს, რომელნიც არღვევდენ დეცენტრალიზებულ დამზადებათა წესებს სამხრეთ-ოსეთში, გორის, ლანჩხუთის, სამტრედიის და ქუთაისის რაიონებში.

2. წინადადება მიეცეს რესპუბლიკურ საკონვენციო ბიუროს მთელი ორხებული მასალა ბაზრის დეზორგანიზატორების შესახებ გადასცეს პარტიულ საბჭოთა — კონტროლის ჯგუფს დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად.

3. წინადადება მიეცეს ყველა ოლქკომს, რაიკომს და საქალაქო კომიტეტს ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ დეცენტრალიზებულ დამზადებებს სხვა სამეურნეო - პოლიტიკურ დავალებებთან ერთად, ძირითად ყურადღებათ მთლიანად აღმოფხვრილი გაუპიროვნება.

ბრიგადები ასევე წარმატებით ებრძვიან ჩაის ფოთლის კრეფის მაღალი ხარისხისათვის. კრეფის წესებს იცნობს ყველა კოლმეურნე და მოზარდიც კი. მეხუთე ბრიგადის (ხელმძღვანელი —თ. კოკოსიმიდი) ნაკვეთზე ვხედებთ 12 წლის **სოფო პავლიდი**, რომელიც საუკეთესოდ კრეფდა ფოთოლს.

ცნობილია, რომ მაღალი ხარისხის ჩაის ფოთლის მიღებისათვის მთავარია განეწყვეტელი კრეფა. ამ ბრიგადებში ეს წესი სავსებით დაცულია.

ჩვენ შევამოწმეთ ზემოხსენებული ბრიგადების მუშაობა და გამოირკვა, რომ ბრიგადირები და ცალკე კოლმეურნეები სამუშაოდ ყოველდღე დილა ადრიან, ყოველთვის წინასწარ სინჯავენ თოხს, პირაკენ მას, სარეველა ბალახებს ღრმად სჭრიან, მუშაობის დროს ერიდებიან ლაპარაკს და დროის გაცდენას, ფერდობზე ფოთლის კრეფისას კალათს მუხლებით ამაგრებენ და **ორივე ხელით კრეფენ.**

ამ ბრიგადებმა ივნისში კიდევ უფრო გაამეჯობეს კრეფის ხარისხი. მაგალითად, **პირველ ივნისიდან 8 ივნისამდე მათ მიერ მოკრეფილი ფოთლით მთლიანად პირველ ხარისხში მიიღეს.**

ასეთ წარმატებას კრეფაში ბრიგადებმა უმთავრესად მას უმადლის, რაც შემოიღეს შემდეგი წესი. **კოლმეურნეს ცუდი ხარისხის ფოთლის მოკრეფისათვის ჩამოეწერება ფოთლის განსაზღვრული რაოდენობა.** მაგალითად, მეოთხე ბრიგადის (ხელმძღვანელი —ან. კასიტერიდი) წევრს კ. ვასილიადის კრეფა ცუროზესების დარღვევისათვის დაკლეს 4 კილოგრამი ფოთოლი. ბრიგადირების პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის კოლმეურნეობის ცალკეულ ბრიგადებში დადგენილებით (ცუდი ხარისხის მწვანე ფოთლის მოკრეფის შემთხვევაში ბრიგადირს შრომა დღეები უმცირდება 10—20 პროცენტით. ხოლო საკუთრივ ხარისხის მოკრეფისათვის უდიდდება ამავე რაოდენობით.

ამის შემდეგ ყველა ბრიგადაში საგრძნობლად გაიზარდა ბრძოლა მწვანე ფოთლის კრეფის მაღალი ხარისხისათვის. საქ. კ.პ. (ბ) ჭიათურის პარტორგანოების დადგენილებით ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობის ეს გამოცდილება ჩაის ფოთლის კრეფის გაუმჯობესების შესახებ ფართოდ მუშავდება რაიონის კოლმეურნეობებში.

გრძოლა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის

მოსავალი აღებულია 1.811 ჰექტარზე

(სსრკ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

ივნისის მესამე ხუთდღიურში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება წარმოებდა აღმოსავლეთ საქართველოს ხუთ რაიონში (სიღნაღის, ყვარელის, ლაგოდეხის, ტფილისის და ყარაიას რაიონები).

ამ რაიონებში **15 ივნისისათვის მოსავალი აღებული იყო სულ 1811 ჰექტარზე.** (10 ივნისისათვის მოსავალი აღებული იყო 397 ჰექტარზე).

საბჭოთა მეურნეობებს 15 ივნისისათვის მოსავალი აღებული ჰქონდათ 743 ჰექტარზე, **კოლმეურნეობებს**—644 ჰექტარზე **და ერთპიროვნულ მეურნეობებს** —424 ჰექტარზე.

სიღნაღის რაიონს მოსავალი აღებული ჰქონდა 802 ჰექტარზე, ყვარლის რაიონს —689 ჰექტ. ლაგოდეხისას 202 ჰექტ. ტფილისისას — 88 ჰექტ. და ყარაიას რაიონს —30 ჰექტარზე.

პირველი ძნები

ყვარელი, 15 ივნისი. რაიონში დაიწყო მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. სოფ. **საბუეს** კოლმეურნეობა „ახალმა შრომამ“ მოიკა ქერი 4 ჰექტარზე, რკინიგზელთა რაიონსამხმარებლო სატრანსპორტო-საზოგადოების მუშათა მომარაგების განყოფილების საბჭოთა მეურნეობამ მოიკა 10 ჰექტ. ქერი. **მოსავალი უმაგალითოა,** ყველაზე დიდია უკანასკნელი 12—15 წლის განმავლობაში. 1 ჰექტარიდან მოელიან 13—15 ცენტნერს.

მოწინავე კოლმეურნეობათა ბრიგადები ეჯიბრებიან ერთმანეთს მოსავლის აღებაზე რაც შეიძლება მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ.

ნავთიჭალის საბჭოთა მეურნეობა. სურათზე—აგრონომი **კუპაშვილი** ამოწმებს ნათესის სიმწიფეს.

კოლმეურნეობა **„დურუჯმა“** სანიმუშოდ მოაწყო შრომა მოსავლის აღების საქმეში. გამოყოფილია ადგილები პურის გასალეწად, მოწყობილია მოსავლის დაცვა გადაზიდვის დროს და დაზვინვის შემდეგ, გატარებულია ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებები, კალოსთან გაყვანილია წყალი უახლოეს ღელედან, დადგმულია კასრები, არის ორთითები, ნიჩბები და ვედროები. აკლიათ მხოლოდ სახანძრე ტუმბოები და შლანგები.

კოლმეურნეობათა ყველა ძალები განაწილებულია მოსავლის აღების საპასუხისმგებლო უბნებზე. დაკვრითი ტემპით მიმდინარეობს **საბელლე** მეურნეობის მომზადება. ტომრების ნაკლებობაა.

ყვარელის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის **პოლიტგანყოფილება** ახდენს ყველა რესურსების მობილიზაციას კოლმეურნეობების უზრუნველყოფისათვის. საყოფად საჭირო ტომრებით (ადს).

ვემზადებით უხვი მოსავლისათვის

(სოფ. ბერძენაული სტალინის სახ. რაიონი).

ბერძენაული მთლიანი კოლექტივიზაციის სოფელია სტალინის სახ. რაიონში. ეხლა კოლმეურნეობის გარეთ აქ მხოლოდ სამი კომლია დარჩენილი. წელს თესვის კამპანია სანიმუშოდ ჩავატარეთ. შემოდგომის ხნრბალი დაითესეთ გვაქვს 140 ჰექტარზე. გაზაფხულზე ქერი 70 ჰექტარის ნაცვლად 77 ჰექტარზე დავთესეთ. ვადამდე 26 დღით ადრე შევასრულეთ აგრეთვე შაქრის ჭარხლის, სიმინდის, ლობიოს და კარტოფილის თესვის გეგმები. შემოდგომაზე და მიმდინარე წლის გაზაფხულზე თავთავიანი მარცვლეული კულტურები 85 ჰექტარით მეტი და უკეთ დავთესეთ ვინემ გასულ წელს.

ახლა მთავარია მოსავლის თავის დროზე და უდანაკარგოდ აღება. გადაწყვეტილი გვაქვს ქერის მკა დავიწყოთ 10 ივლისიდან, ხოლო პურის—17 ივლისიდან, და ეს საფუძვლა დავამთავროთ დაწყებიდან არა უგვიანეს 10—12 სამუშაო დღისა. ლეწვას კი შეუდგებით მკის დაწყებისთანავე.

მოსავლის აღებისათვის მზადებას კარგა ხანია შევუდექით. 114 ხარიდან მხოლოდ 3 უღელი დავტოვეთ კოლმეურნეობის აუცილებელი საჭიროებისათვის. დანარჩენი კი ერთ თვეზე მეტია მთაში გავრეკეთ და ვასვენებთ.

ნათესებზე მიმაგრებული გვყავს ბრიგადები და ჯგუფები: გამოყენებით გამოცდილი მთიბავები, კვერზე მომუშავეები, მუშა-ბიჭი ისე გავანაწილეთ ჯგუფებში, რომ მოსავლის აღების დროს კოლექტივის არც-ერთი შრომის უნარიანი წევრი არ დარჩება უსაქმოდ. გვაქვს 30 ცელი, ამდენივე ცელის სალესი ქვა, აგრეთვე 58 კევრი, 15 ურემი და ერთი სასწორი. ყველა ეს შეკეთებულია. გვაკლია 5 ურემი, ერთი სასწორი ახალი ურმების გასაკეთებლად გამოყოფილი გვყავს ჩვენი კოლექტივის წევრები: კოლა დაბრუნდაშვილი, ლუკა ღვინიაშვილი, ილიკო და ოქრუა მარგველაშვილები. ურმების კეთებას კარგახანია შევუდექით. სამუშაოს ამ თვის დამლევს დავამთავრებთ. სასწორისა და ტომრების შესაძენად ზომები მიღებული გვაქვს.

აგარის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილება ყოველდღიურად გვეხმარება მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის მზადებაში. ჩვენ კი არ ვიშურებთ შრომას იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ახალ მოსავალს. პოლიტგანყოფილების რჩევით წელს ჩვენ კალოებისა და ფოთლის მოსავალზე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ, როგორც მოწსახკომის სუბტროპიკულ კულტურათა სამმართველოს სპეციალისტების ბრიგადამ გამოარკვია, მაისში აქ დროზე მოუკრეფლობის გამო დაიკარგა მოსავლის 20-25 პროცენტი, ე. ი. 20-23 ათასი კილოგრამი მწვანე ფოთოლი.

სამწუხაროდ, მაისში დაშვებული შეცდომები და აქედან გამომდინარე შედეგები ივნისში არ გაითვალისწინეს.

მაისსა და ივნისში ზუგდიდის რაიონმა უნდა მოკრიფოს და ფაბრიკას ჩააბაროს 166.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 10 ივნისისათვის ფაქტიურად მოკრეფილი იყო 67.500 კილოგრამი, რაც გეგმის 40,3 პროცენტს შეადგენდა.

ივნისის პირველ დეკადაში აქ უნდა მოეკრიფათ 82.046 კილოგრამი. ფაქტიურად მოკრიფეს 11.494 კილოგრამი, დეკადური გეგმის მხოლოდ 33,6 პროც.

ამჟამად ჩაის ფოთოლი მასობრივად არის საკრეფად მომწიფებული, მაგრამ კრეფა მოუწესრიგებელია და მოსავლის მთლიანად და დროზე აღება უზრუნველყოფილი არ არის.

სოფ. ჯიხასკარის, რუხის, ჭითასწყალის, **როგორც** საბჭოთა მეურნეობების კოლმეურნეობების მოუკრეფლობის გამო გახევდა-გაუხუნდა მწვანე ფოთოლი და მოსავალიც შემცირდა.

რაიონში ჩამორჩენილია აგრეთვე **კლანტაციების დამუშავება.** მეორე თოხნა 2.718 ჰექტარზე უნდა ჩატარდეს. 10 ივნისისათვის გათოხნილი იყო 154 ჰექტარი, მთელი ფართობის 5,7 პროც.

ჩაის პლანტაციების პირველი და მეორე კულტივაცია უნდა ჩატარდეს 1.700 ჰექტარზე. ფაქტიურად პირველი კულტივაცია ჩატარებულია 1.470 ჰექტარზე, ხოლო მეორე — 97 ჰექტარზე. პლანტაციების პირველი გაბელვის გეგმა შესრულებულია 18 პროც. მეორე გაბელვა 10 ივნისისათვის არ იყო დაწყებული.

მეოთხე თოხნა რაიონში წარმოებს გაცილებით უფრო ნელი ტემპებით, ვიდრე პირველითოხნა. მიმდინარეობდა. 10 მაისისათვის, ე. ი. პირველი თოხნის დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში, გაითოხნა 311,5 ჰექტარი, მეორე თოხნა კი პირველი დღეში (10 ივნისისათვის) მხოლოდ 154 ჰექტარზე ჩატარდა.

ამ ჩამორჩენის მთავარი მიზეზია **შრომის მოუწესრიგებლობა და საწარმოო დავალებათა არასწორად განაწილება.** მაგ. ქალ. საბჭოს სახელობის კოლმეურნეობის პირველ ბრიგადაში 31 მუშა-ხელი (16 მამაკაცი და 15 ქალი) ირიცხება. ამ ბრიგადას მიცემული აქვს დასამუშავებლად ჩაის პლანტაცია 39 ჰექტ., სიმინდი — 5 ჰექტ. და ბოსტანი —1,7 ჰექტ.; მეორე ბრიგადას კი, რომელშიაც მეტი მუშა-ხელია — 52 კაცი (22 მამაკაცი და 30 ქალი), დასამუშავებლად მიცემული აქვს გაცილებით ნაკლები ფართობი. სახელდობრ: ჩაის პლანტაცია — 32 ჰექტ., სიმინდი — 5 ჰექტ., ბოსტანი 1.8 ჰექტ.

პირველ ბრიგადაში ერთ მუშახელზე დასამუშავებლად მოდის 1.2 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, მეოთხე ბრიგადაში კი თვითეულზე დასამუშავებელ ხვედრა მხოლოდ 0,61 ჰექტარი.

ჩაი

რატომ ჩამორჩა ჩაის სამუშაოები ზუგდიდის რაიონში?

ზუგდიდის რაიონმა მაისში 96.200 კილოგრამის ნაცვლად მხოლოდ 56.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა; მაისის გეგმა შესრულდა 58 პროც.

თავის გასამართლებლად რაიონის ხელმძღვანელები აცხადებენ, ვითომ, ცუდი ამინდის გამო მაისში ჩაის ფოთოლი სუსტად განვითარდა.

ეს არ არის სავსებით სწორი. მართალია, ცუდმა ამინდმა გავლენა მოახდინა ჩაის ფოთლის მოსავალზე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ, როგორც მოწსახკომის სუბტროპიკულ კულტურათა სამმართველოს სპეციალისტების ბრიგადამ გამოარკვია, მაისში აქ დროზე მოუკრეფლობის გამო დაიკარგა მოსავლის 20-25 პროცენტი, ე. ი. 20-23 ათასი კილოგრამი მწვანე ფოთოლი.

სამწუხაროდ, მაისში დაშვებული შეცდომები და აქედან გამომდინარე შედეგები ივნისში არ გაითვალისწინეს.

მაისსა და ივნისში ზუგდიდის რაიონმა უნდა მოკრიფოს და ფაბრიკას ჩააბაროს 166.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 10 ივნისისათვის ფაქტიურად მოკრეფილი იყო 67.500 კილოგრამი, რაც გეგმის 40,3 პროცენტს შეადგენდა.

ივნისის პირველ დეკადაში აქ უნდა მოეკრიფათ 82.046 კილოგრამი. ფაქტიურად მოკრიფეს 11.494 კილოგრამი, დეკადური გეგმის მხოლოდ 33,6 პროც.

ამჟამად ჩაის ფოთოლი მასობრივად არის საკრეფად მომწიფებული, მაგრამ კრეფა მოუწესრიგებელია და მოსავლის მთლიანად და დროზე აღება უზრუნველყოფილი არ არის.

სოფ. ჯიხასკარის, რუხის, ჭითასწყალის, როგორც საბჭოთა მეურნეობების კოლმეურნეობებში მოუკრეფლობის გამო გახევდა-გაუხუნდა მწვანე ფოთოლი და მოსავალიც შემცირდა.

რაიონში ჩამორჩენილია აგრეთვე **კლანტაციების დამუშავება.** მეორე თოხნა 2.718 ჰექტარზე უნდა ჩატარდეს. 10 ივნისისათვის გათოხნილი იყო 154 ჰექტარი, მთელი ფართობის 5,7 პროც.

ჩაის პლანტაციების პირველი და მეორე კულტივაცია უნდა ჩატარდეს 1.700 ჰექტარზე. ფაქტიურად პირველი კულტივაცია ჩატარებულია 1.470 ჰექტარზე, ხოლო მეორე — 97 ჰექტარზე. პლანტაციების პირველი გაბელვის გეგმა შესრულებულია 18 პროც. მეორე გაბელვა 10 ივნისისათვის არ იყო დაწყებული.

მეოთხე თოხნა რაიონში წარმოებს გაცილებით უფრო ნელი ტემპებით, ვიდრე პირველითოხნა. მიმდინარეობდა. 10 მაისისათვის, ე. ი. პირველი თოხნის დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში, გაითოხნა 311,5 ჰექტარი, მეორე თოხნა კი პირველი დღეში (10 ივნისისათვის) მხოლოდ 154 ჰექტარზე ჩატარდა.

ამ ჩამორჩენის მთავარი მიზეზია **შრომის მოუწესრიგებლობა და საწარმოო დავალებათა არასწორად განაწილება.** მაგ. ქალ. საბჭოს სახელობის კოლმეურნეობის პირველ ბრიგადაში 31 მუშა-ხელი (16 მამაკაცი და 15 ქალი) ირიცხება. ამ ბრიგადას მიცემული აქვს დასამუშავებლად ჩაის პლანტაცია 39 ჰექტ., სიმინდი — 5 ჰექტ. და ბოსტანი —1,7 ჰექტ.; მეორე ბრიგადას კი, რომელშიაც მეტი მუშა-ხელია — 52 კაცი (22 მამაკაცი და 30 ქალი), დასამუშავებლად მიცემული აქვს გაცილებით ნაკლები ფართობი. სახელდობრ: ჩაის პლანტაცია — 32 ჰექტ., სიმინდი — 5 ჰექტ., ბოსტანი 1.8 ჰექტ.

**პირველ ბრიგადაში ერთ მუშ

კომკავშირის მუშაობის გაძლიერებისთვის

პარტორგანიზაციების აქტიური დახმარება

სუბვროვიკების ენთუზიასტები

(ქობულეთი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

ჩაი...

(ციტრუსი...

აი ქობულეთელ კომკავშირელთა ძირითადი საბრძოლო ამოცანა... ქობულეთის კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშობა შეფასებულ იქნება იმის მიხედვით, თუ როგორ იბრძვიან ისინი ჩაისათვის, — ციტრუსებისათვის, — როგორია კომკავშირელთა ავანგარდული როლი სუბტროპიკების განვითარების საქმეში.

სწორედ დისციპლინის განმტკიცების შედეგია ის, რომ ქობულეთის 52 საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა (რომლებშიაც ირიცხება 982 კ. კ. წევრი და კანდიდატი) რაიკომის მდივნის ამხ. **ცივაძის** ენერგიული ხელმძღვანელობით მუშაობის გარდაქმნის პერიოდში ბევრი რამ საამაყო საქმე გააკეთეს სუბტროპიკების განვითარებისათვის. კომკავშირელთა ინიციატივით, გეგმის ზვიდით ქობულეთის რაიონში გაშენდა 4.400 ძირი ტრიფოლიატი.

ამხ. ბერიას მოწოდების საფუძველზე ნაკისარი ვალდებულება 3 000 ძირი (ციტრუსოვან კულტურების გაშენების შესახებ (ეზოებში) 120 პროცენტით შესრულდა ვადაზე. (გაშენებულია —3.443 ძირი).

ჩაის და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებთან დადებული პირობა, რომ კომკავშირი 6.000 შრომადღით დაიბრძოლებდა მათ. წარმატებით სრულდება. მხოლოდ მაისში კომკავშირმა საბჭ. მეურნეობებს მისცა—1935 შრომა-დღე. ასე პირნათლად ასრულებენ ქობოლეთელი კომკავშირლები ნაკისრ ვალდებულებებს.

ცალცალკე კომკავშირულ ორგანიზაციებს მრავალი მიღწევა აქვთ, რაც მუშაობის გარდაქმნის და კონკრეტული - ოპერატიული ხელმძღვანელობის შედეგია. როდესაც ქობულეთის რაიონის კომკავშირელთა წარმატებებზე ლაპარაკობენ, პირველ ყოვლისა მხედველობაში ჰყავთ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია (კომიტეტის მდივანი ამხ. **ანდღულაძე**). ამ ორგანიზაციაში 206 კომკავშირელი მთელი ჯანღონით და თავგამოდებით იბრძვის გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, ჩაის პლანტაციების გამარგვლის ორგანიზაციისათვის. ისინი დაუღალავად მუშაობენ თავიანთი პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის და დაუნდობლები თვითკრიტიკით ამღლავნებენ მეურნეობაში აოსებულ ყველა დეფექტს.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში განსაკუთრებით მოქნილად მუშაობს „მსუბუქი კავალერიის“ რაზმი. ამას წინათ „მ. კ.“ შეამოწმა პლანტაციების გაფოხნის ხარისხი დამაკმაყოფილებელი არ იყო, ზოგიერთი აგრონომი სრულიად არ აქცევდა ყურადღებას თოხნის ხარისხის გაუმჯობესებას. ჩაქვის კ. კ. ორგანიზაციამ კონკრეტული დავალებები მისცა—1935 შრომა-დღე. ასე პირნათლად ასრულებენ ქობოლეთელი კომკავშირლები ნაკისრ ვალდებულებებს.

პარტიის რაიკომი (მდივანი **ნუცუბიძე**) სისტემატიურად ისმენს კ. კ. რაიკომის მდივნის მოხსენებას კომკავშირის მუშაობის შესახებ და ყოველგვარ დახმარებას უწევს კ. კ. ორგანიზაციებს. მუშაობის ახლებურად გარდაქმნისათვის აძლევს კონკრეტულ მითითებებს და ახმარებს პარტიის გამოცდილ წევრებს. მართალია, სა. კ. კ. ქობულეთის რაიკომის მუშაკები და მთელი რიგი კომკავშირულ ორგანიზაციების ცალკე ხელმძღვანელები სამაგალითოდ მუშაობენ, მათ ნამდვილად გამონახეს ახლებური მუშაობის დედაძარღვი, მაგრამ მათ მუშაობას ჯერ კიდევ ახასიათებს ნაკლოვანებანიც. ჯერ კიდევ სუსტია უპარტიო აქტივიზე ხელმძღვანელობა, აგრეთვე კომკავშირლებს შორის უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა ყოყოჩობამ, უკადრისობამ, რასაც აუცილებლად ცუდი შედეგი მოჰყვება. საჭიროა ამ მხრივაც გაამახვილოს თავისი ყურადღება კ. კ. რაიკომმა. თვითეულმა კომკავშირელმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს, რომ „თუ კომკავშირლებს სურთ იყონ მეთაურები. მათ უნდა გაიაონ შაი პრაქტიკული მუშაობის სკოლა, მაშინ მათ გან გამოვლენ ნამდვილ კომკავშირული, სამეურნეო და სახელმწიფო ხელმძღვანელები“ (**კაგანოვიჩი**).

ალ. გვინჩიძე

ისევ ზოგადობა და ლაყბობა

(ბორი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

კომკავშირის გორის რაიონული კომიტეტი **აერთიანებს 192** პირველად ორგანიზაციას **2.428** კომკავშირელით.

გორის რაიონის კომკავშირელებს აქვთ ერთგვარი მიღწევებ. მათი შრომა-დღეები მთელ რიგ კოლმეურნეობებში სჭარბობს უპარტიო ახალგაზრდობის შრომადღეებს. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ისინი იძლევიან საზოგადოებრივი საკუთრების მოვლი. სა და დაცვის საუკეთესო ნიმუშებს. მიდინარეობს მუშაობის გარდაქმნა საკავშირო ა. ლ. კ. კ. ც. კ-ის მე-9 პლენუმის დადგენილებათა საფუძველზე, იცვლება ორგანიზაციის სტრუქტურა. მაგრამ ეს არ კმარა. ეს დასაწყისია. „ბარდაქმნის საფუძველი მუშაობის მეთოდების არსებითად შეცვლაშია“ (ლენინი). ეს კი გორის კომკავშირის ორგანიზაციაში არ ჩანს. აქ ისევ ვხედებით ნაკლოვანებებს, რომლებზედაც საკავშირო ა. ლ. კ. კ. ც. კ-ის მე-9 პლენუმი მთელი კომკავშირის ყურადღებას ამახვილებდა. აქ ისევ ძალაშია „ნამდვილი ორგანიზატორული მუშაობის შეცვლა კამპანიურობით. არ ჩანს შეუპყრობა და სიმტკიცე ყოველი დაწყებული საქმის გოლამდე მიყვანაობის“.

ფაქტი: რაიკომის ბიურომ დაადგინა აიღოს შეფობა გორის საქალაქო მეურნეობაზე, დაასუფთაოს და გაამწვანოს ქუჩები, მოაწესრიგოს და გაალამაზოს ბაღი, ხოლო ცხის ნაგებრივებზე მოაწყოს ახალგაზრდობის დასასვენებელი პარკი.

საკითხი გადაიტანეს უჯრედებში, ერთხელ კიდეც მოაწყეს შაბათობა ბაღისა და ქუჩების დასასუფთავებლად. მაგრამ რაც შეეხება გამწვანებას, აქ კომკავშირს არაფერი გაუკეთებია. ახალგაზრდობის დასასვენებელი პარკის მოწყობას კი სრულიად მიანებეს თავი. **რატომ?**

— ჩვენ არ შეგვიძლია ამ საქმეს მოვეკიდოთ, — აცხადებს რაიკომის მდივანი ამხ. **რაზმაძე**. აქედან ჩვენ გამოგვაქვს ორი დასკვნა: ერთი — ეს არის „მოუფიქრებელი მდგომა მოსაწყობი საქმის ტექნიკის“, დეტალებისა და რაობისადმი“, „ზოგადობა მუშაობაში“, მეორე — დაწყებული საქმის ბოლომდე არ მიყვანა, გაუპიროვნება და უპასუხისმგებლობა რაიკომის მუშაკებისა.

**შემდეგ: რაიონულ ორგანიზაციაში დამუშავდა ახალგ. დამკვრელთა კონფერენციის შედეგები. ბიურო ამის გამო გამოტანილ დადგენილებაში აღნიშნავს, რომ უჯრედებში საკითხი დამუშავდა წარმატებით, მოეწყო ლიტერატურული საღამოები, მაგრამ ეს ყველაფერი ფორმალურად იქნა გატარებული. ბიუროს ამ დადგენილებაში ისევ ზოგადობა და ლაყბობა ჭარბობს. ბიურომ ამხ. ზ. ჩიქოვანს დაავალა ორკესტრის მოწყობა, ამხ. ნ. ჯანელიძეს — ხორ

მომზადებულად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

განათლების განყოფილებათა რესპუბლიკური კონკურსი

ახალი სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მომზადებაზე

საქ. განათლების სახალხო კომისრის დადგენილება

განათლების სახ. კომისარიატი იწონებს ფოთის განათლების განყოფილების ინიციატივას სასწავლო წლის საუკეთესოდ მოსამზადებლად კონკრეტულ ვალდებულებათა აღების, ფართო საზოგადოებრივობის ყურადღებისა და აქტივობის მობილიზაციის საქმეში და ადგენს:

1. ა.-წ. 25 ივნისიდან 25 აგვისტომდე გამოცხადდეს სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მომზადების დამკვრელი ორთვიური.

2. ჩატარდეს განათლების განყოფილებათა რესპუბლიკური კონკურსი სასწავლო წლის საუკეთესო მომზადების საქმეში.

კონკურსის პირობები

3. კონკურსის პირობებად მიღებულ იქნას:

ა) დაწყებულ სასკოლო შენობათა დამთავრება, არსებულ შენობათა შეკეთება, პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებულ სასკოლო შენობათა განთავისუფლება და სკოლისათვის გადაცემა, ყველა სკოლის უზრუნველყოფა ახალი თუ საფუძვლიანად შეკეთებული ინვენტარით (პარტები, დაფები და სხვ.) ყველა სკოლაში სათბობი მასალის წლიური მარაგის დამზადება.

ბ) რაიონის (ქალაქის) სკოლის ასაკის ბავშვთა მთელი რაოდენობის მოთავსება დაწყებითის სკოლაში, ხოლო დაწყებითის სკოლაში კურსდამთავრებულთა მთელი რაოდენობის მოთავსება მე-5 კლასში, სკოლე ბიდან მოსწავლეთა განთესვის მთლი ანად აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებათა დასახვა-გატარება (მოსწავლეთა მომარაგების მოწესრიგება, სკოლის ყოველმხრივი კეთილმოწყობა, ახსნა-განმარტებითი მუშაობის სათანადოდ დაყენება და სხვა).

გ) სკოლების მთლიანად უზრუნველყოფა პედკადრებით, მასწავლებელთა ხელფასის დავალიანების სრული ლიკვიდაცია, მასწავლებელთა უზრუნველყოფა მომარაგებით და კომუნალური მომსახურებით.

დ) სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების საკმაო რაოდენობის დროზე შეძენა და სკოლებამდე დაყვანა.

